სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი **2014 წლის 13 იანვარი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 21 წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. გეგეჭკორი არნოლდი 5. თუთბერიძე ბეჟანი 6. ომანაძე როლანდი 7. კერესელიძე დავითი 8. ბენდელიანი ბექა 9. პაპაშვილი თამარი 10. მაცაბერიძე მალხაზი 11. შამილიშვილი მანანა 12. ბარამიძე ცირა 13. ბახტაძე მიხეილი 14. ბრაჭული ირაკლი 15. გელოვანი ნანი 16. ლიჩელი ვახტანგი 17. ლორია კახაბერი 18. პაიჭაძე თამარი 19. ახლოური ბექა 20. ჯღამაძე უჩა 21. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. ქურდაძე რამაზი 4. დავითაშვილი ზურაბი 5. შენგელაია ალექსანდრე 6. ნადარაია ელიზბარი 7. სურგულაძე ნუგზარი 8. გველესიანი რევაზი 9. მარშავა ქეთევანი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს განცხადების განხილვა.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო აკადემიური საბჭოს განცხადება. მისი განმარტებით, რამდენიმე წლის წინ მთავრობის დადგენილებით უნივერსიტეტს 14 სამეცნიერო ინსტიტუტი შემოუერთდა, რომელთა სახელმწიფო დაფინანსებაც 4 მილიონ ლარზე მეტი იყო. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინსტიტუტის წარმომადგენლებთან იმართებოდა საკონსულტაციო შეხვედრები, თუმცა ეს არ იყო ერთიანი, სისტემური მიდგომა, ინსტიტუტების წარმომადგენლებს ცალ-ცალკე ხვდებოდნენ და საკმაოდ არასასიამოვნო პირობებს უყენებდნენ. 2014 წლის 6 იანვარს თსუ-ში შემოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის მოადგილის ოფიციალური წერილი, რომლითაც ინსტიტუტებს უწყდებათ საბაზისო დაფინანსება და სამინისტრო მათგან ითხოვს პროგრამების წარდგენას. არ არსებობს რაიმე კრიტერიუმი, რომლითაც მოხდება პროგრამების შეფასება და დაფინანსების მიღება, შესაძლოა, რომელიმე ინსტიტუტმა დაფინანსება საერთოდ ვერ მიიღოს. უნივერსიტეტს არა აქვს საკმარისი ფინანსები, უზრუნველყოს ინსტიტუტებისთვის შესაბამისი სახსრების გამოყოფა. აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროსა და ხელისუფლებაშიც არ არის ერთიანი პოზიცია. უნივერსიტეტისა და მეცნიერების აქტიური მხარდამჭერია პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი ივანე კიღურაძე, რომელიც იზიარებს ინსტიტუტების საბაზისო დაფინანსების შესახებ მოსაზრებას. ამიტომაც ჩვენმა პოზიციამ შეიძლება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს. რექტორის განმარტებით, აუცილებელია ყველა არჩევითმა ორგანომ გამოხატოს პოზიცია, რითაც უნივერსიტეტი დააფიქსირებს საკუთარ აზრს.

ბატონმა ირაკლი ბრაჭულმა მოიწონა აღნიშნული ინიციატივა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ უნდა იყოს კონფორმისტულად განწყობილი. იგი ყოველთვის უნდა იყოს რაციონალური და შექმნილი მდგომარეობის შესაბამისი პოზიცია დაიჭიროს. ამასთან, მსგავსი განცხადების გაკეთება რეალური ავტონომიურობის უზრუნველყოფისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

ბატონმა ელგუჯა მექვაბიშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო პოლიტიკა მეცნიერებასთან მიმართებით, სამწუხაროდ, არ შეცვლილა და მეცნიერების დაფინანსება არათუ იზრდება, არამედ მინიმუმამდე დადის. მსგავსი მოსაზრება დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა - ქალბატონმა ინეზა გაგნიძემ და ბატონმა ბეჟან თუთბერიძემ.

ბატონ მალხაზ მაცაბერიძის განმარტებით, საქართველოში პროგრამული დაფინანსების პრეცედენტი უკვე არსებობს და საკმაოდ წარუმატებელია. ობიექტური კრიტერიუმებისა და კონკურსის გამჭვირვალეობის არარსებობის გამო, ზოგიერთი ინსტიტუტი, კერძოდ, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც იგი წარმოადგენს, ერთი წლის განმავლობაში დაფინანსების გარეშე დარჩა.

ბატონმა ვახტანგ ლიჩელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა შემოერთებულ ინსტიტუტებს. ბევრი მათგანი ფიზიკურად არ იარსებებდა, რომ არა უნივერსიტეტის ძალისხმევა და მონდომება. ამიტომაც აუცილებელია მსგავსი განცხადების შემუშავება და ოფიციალური პოზიციის დაფიქსირება.

ბატონმა არნოლდ გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ არსებობდა ეროვნული სამეცნიერო ცენტრის შექმნის იდეა, რომელიც გააერთიანებდა სამეცნიერო ინსტიტუტებს. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ჯერჯერობით წინსვლა არ შეინიშნება და ინსტიტუტებს არათუ უკეთესი პირობები ექმნებათ, არამედ სახელმწიფო საბაზისო დაფინანსებასაც კი უუქმებს.

ქალბატონმა ცირა ბარამიძემ განაცხადა, რომ სახელმწიფოში უკვე მერამდენე წელია მეცნიერების მიმართ მსგავსი პოლიტიკა ტარდება. უნივერსიტეტისა და ინსტიტუტებისთვის არავის უკითხავს, ისე განხორციელდა რეორგანიზაცია. ახლაც იგივე ხდება. ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების მიზერულ დაფინანსებას ზრდიდეს, მას საერთოდ აუქმებს. მეცნიერებმა და უნივერსიტეტმა უნდა მოვითხოვოთ სახელმწიფოს მხრიდან აქტიური და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მეცნიერების დაფინანსების მიმართულებით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება რეკომენდებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ (დანართი 3).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2014 წლის 13 იანვარი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- ჩაბაკაური გიორგი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვასილი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველიშვილი ვლადიმერი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ჯღამაძე უჩა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2014 წლის 13 იანვარი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- დავითაშვილი ზურაბი
- გერსამია მარიამი
- შენგელაია ალექსანდრე
- ნადარაია ელიზბარი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- გველესიანი რევაზი
- მარშავა ქეთევანი
- თოდუა ფრიდონი
- გალდავა გიორგი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

განცხადება

,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ჯანსაღი ამბიცია, იყოს ლიდერი კვლევითი უნივერსიტეტი და საერთაშორისო სამეცნიერო - საგანმანათლებლო სივრცის ღირსეული და წარმატებული სუბიექტი.

გასულ წლებში საქართველოს მთავრობის დადგენილებების შესაბამისად უნივერსიტეტში ინტეგრირებული იქნა 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. სამეცნიერო სკოლების შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით უნივერსიტეტში შემოერთებულ ყველა ინსტიტუტს შეუნარჩუნდა არსებული სამეცნიერო პერსონალი და საბაზო დაფინანსება. ამავდროულად, უნივერსიტეტმა განახორციელა ღონისძიებები სამეცნიერო კვლევითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ინსტიტუტების შემოერთების შემდეგ მათი დაფინანსებისთვის უნივერსიტეტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ირიცხებოდა შესაბამისი ოდენობის საბიუჯეტო სახსრები, რაც გამოიყენებოდა, როგორც ინსტიტუტების საბაზო დაფინანსება.

ბოლო პერიოდში აქტიურად განიხილება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამომავლო ბედი და მათი დაფინანსების საკითხი. დღეისათვის ჩამოყალიბებული არ არის სახელმწიფო სტრატეგია მეცნიერების განვითარებისა და დაფინანსების სპეციფიკასთან დაკავშირებით, ამავდროულად კვლევითი ინსტიტუტების სამომავლო პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის გარკვეული დეფიციტიცაა. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად ვთვლით გავაკეთოთ განცხადება, რომელშიც წარმოვაჩენთ უნივერსიტეტის პოზიციას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსების მოდელის შესახებ.

განსაკუთრებით პრინციპულად ვთვლით ინსტიტუტების საბაზო დაფინანსების უცვლელად შენარჩუნებას. სამეცნიერო კვლევა უწყვეტი პროცესია და შედეგზეა ორიენტირებული, შესაბამისად, მისი მდგრადობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბაზო დაფინანსებას, რაც ამ პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას უზრუნველყოფს. ამასთან, როგორც წესი, პროგრამული (საპროექტო) დაფინანსება არ იძლევა ინსტიტუტების (სამეცნიერო ჯგუფების) უწყვეტი ფინანსირების გარანტიას და მხოლოდ მისი არსებობა არ წარმოადგენს მეცნიერების დაფინანსების მართებულ პრინციპს.

სამეცნიერო კვლევითი პროცესის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია საბაზო დაფინანსებასთან ერთად პროგრამული (პროექტებზე დაფუძნებული) დაფინანსების არსებობა შესაბამისი სრულყოფილი სქემის მიხედვით. უნივერსიტეტი მზადაა, აქტიურად ჩაერთოს საქართველოში მეცნიერების განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებაში.‘‘